

# ს ი ა ნ გ ი

ნახ. გ. იხევისია



ჩუპრა-ნაია

31/111  
 № 71

წადის მსგავსი იტალია  
 „ღუჩე“ გენოს მცხა წაღად,  
 ხალხს თავს აწვა მაჯმეჯუნად,  
 თვით კი იყო იგი ჭაღად.

მაგრამ შინც სწვას ატირებდა  
 ზეფუა მის აბტიკა,—  
 გოგონებმა აღარ შერჩა,  
 გადახარდა თავდაშიკა.

იტალიელი გლეხები დიდ წონებზე მუშაობენ ინტენსიური პროდუქტების გადამამუშავებაში. პროდუქტები მალავენ კეზში, მიყრუებულ საყდრებში და სამარხებშია.

გაზეთებიდან

ნახ. გ. ისაევისა



- ანტონია, როგორ მოახერხებ, რომ პოლიციელები ასე ხელცარიელები გაისტუმრებ?
- რას დამაკლებდნენ, ჩემი ჭირნახული კარგა ხანია მოკვდა...
- როგორ? შენც ძველ სასაფლაოზე გაქვს გადამალული?

### შეპითხვა ანუ ვიკი, ბავები და მუსოლინი

მუსოლინი გადადგა... მისი გადადგომა ლახვარია ჰიტლერისათვის, გაზეთებიდან.

ცნობილია ყველგან გადმოცემა ძველი, რომ ბატები იყვნენ იტალიის მხსნელი.

როცა გაუღებს ქონდათ რომისათვის ომი, აყიყინდნენ მწარეთ და დაიხსნეს რომი.

სახელი და ხსოვნა უკვდავია მათი, მაგრამ რომში მეტად განადიდეს ბატი.

და იფიქრა ზოგმა: „თუ დგას განსაცდელი მხოლოდ ბატი არის ტალკვესი და მხსნელი,

მხოლოდ ბატის გოგრას, ვალიარებთ ჩვენა, შეუძლია კირში ქვეყნის გადარჩენა“.

და ამ რწმენით „ქვეყნის მხსნელად მოვლენილი“, სათავეში დასვეს ბენო მუსოლინი.

ფაშისტების მოდგმის, სალოცავი ხატი მბრძანებლობდა ბენო რომაული ბატი.

მაგრამ როცა შემდეგ ბენოს ჯარებს მოსცხეს, აფრიკიდან უკან ვირით გამოცოცხეს,

მაშინ ბატთან ერთად იცნეს ვირი მხსნელად და თავისთვის გულში გაიფიქრეს ხელად:

„მხოლოდ ვირის გოგრას, საქმით ვხედავთ ჩვენა, შეუძლია კირში ქვეყნის გადარჩენა“.

და ამ რწმენით ქვეყნის მხსნელად მოვლენილი სათავეში დარჩა ერთხანს მუსოლინი,

დარჩა სათავეში მუსოლინი, მაგრამ დიქტატორმა „ტახტი“ ველარ შეიმაგრა.

გაპანდურდა ბენო... „დილა შობა ღამე“ და აღვნიშნა მინდა ამით ერთი რამე:

რომ სულ მალე ბერლინს გავახსენო ისევ. ფაშისტური რომი გაიწირა ისევ,

რომ ვერ იხსნა იგი ვერც ბატმა, ვერც ვირმა და ვერც მათმა მოდგამ ბენო მუსოლინმა.

შენ რას იტყვი ახლა „ტევტონების მხსნელი“ ვაჰ თუ თვალის ნაცვლად სხვა რამ დაასველო!

ს. ისარიძე

გიგლიოთეა

ეს იყო ხუთ ივლისს, კურსკის ხაზზე განლაგებულ გერმანელთა ჯარის ნაწილები ფაცა-ფუციტ ჩამწყვიტეს ყაზარმების წინ. ეფრეტორები ტრაფარეტულ განკაიგულებებს აძლევდნენ ქვედანაყოფებს — თითქოს ყუფდნენ.

— სმე-ნა-ა-ა!

— სწო-რე-ბა მა-არჯვენე!

მარჯვენა ფლანგიდან გამოჩნდა რკინის ჯვრებიანი, მელორტი გენერალი ფონ-ყუფენბერგი, რომელსაც ოფიცერთა მთელი ამაღა ახლდა. იგი დინჯად მიუახლოვდა ნაწილებს, მიესალმა და მანქანასავით მშრალი შამოძახილით პასუხიც მიიღო. ამის შემდეგ პატარა სიტყვით მიმართა ჯარს, რაც შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

— გიცხადებთ ფიურერის ბრძანებას იმის შესახებ, რომ გერმანიის უძლეველი არმია ხვალ გათენებისას გადადის გადამწყვეტ შეტევაზე. ფიურერი გიბრძანებთ და მე დავსძენ, თქვენ ამ შეტევით მთლიანად უნდა მოსპოთ წითელი არმია, უნდა დაიპყროთ რუსეთი, ჰაილ ჰიტლერ!

— ჰაილ ჰიტლერ! — შებღავლა უხალისოდ ჩამწყვიტებულმა ჯარმა.

— ხომ გესმით: გადადისარტ შეტევაზე!

— გვესმის თქვენთა აღმატებულებაზე, — გადავდივართ შეტევაზე...

ამ „პარადის“ შემდეგ ყაზარმებში შუალამედე მღელვარე ფუსფუსი იყო. ჯარისკაცები ალაგებდნენ თავის ბარგი-ბარხანას, სოფლებში და ქალაქებში „ორგანიზებულ“ ნაძარცვ-ნაპარავ ნივთებს. ბევრი მათგანი ეთხოვებოდა ამ ნივთებს, სწუხდა, მათი გაგზავნა ვერ მოახერხა ფატერლანდში და ახლა, ვინ იცის ვის დარჩება მისი ამნათი?

2.

ეს იყო ექვს ივლისს.

კურსკის ხაზზე განლაგებულ გერმანელთა არმიის მიღევ-მოღევილი ნაწილების ნაშთებისათვის თავი მოეყარათ. ისევ ჰყუფდნენ ეფრეტორები, მაგრამ უკვე უხალისოდ, უძლურად, ისევ ღრინავდა მელორტი გენერალი, მაგრამ უკვე რინხოვლებულად უგულებლო შეავედ:

— როგორც უკვე გუშინწინ გამოგიცხადეთ, ჩვენი ძლევამოსილი არმია არ გადასულა შეტევაზე... დიახ... მან მუქარით გადახედა ყველას.

— დიახ, დიახ მართალია, ჩვენ ვუტყვით, მაგრამ არ გადავსულვართ შეტევაზე, ასე ბრძანებს ფიურერი და რაკი ის ბრძანებს — მაშასადამე, ჩვენი შეტევა ასე უნდა გავიგოთ, ხომ გესმით?

ჯარისკაცები სდუმდნენ.

სულ მალე დღემილი კონტრ-შეტევაზე გადასული მამაცი წითელი არმიის ძლევამოსილმა „ურამ“ დაარღვია.


ზარსადანი

### სხოვრება და გკაევიკა

მოკავშირეთა ავიაციის მიერ ინტენსიური ბომბარდირების გამო მოსახლეობა გარბის სამხრეთ იტალიიდან.

გაზეთებიდან

ნახ. გ. ისაევისა



— „წარმტაცი ღამეა. პეტრუჩიო წევს ლოგინში და მშვიდად სძინავს... რომელ დროს ეკუთვნის ბავშვები? — წარაულს, მასწავლებელი!“

ჩვენ ვიცით სად დაიწყეთ, სად გავათავებთ კი ერთმა ღმერთმა იცის.  
ჰებელსის განცხადება იმის პირველ ხანებში.

თუ თქვენ დაიწყეთ საქმე საძრახი,  
თქვენვე ინებეთ პასუხი ავით,  
დროა გაიჭრათ, გაიქცეთ უგზოთ  
და ბუნაგები ტყეში მონახოთ!  
ნუ თუ არ იცით სად გაათავებთ?  
ბრძენი ყოფილხართ, — ვერ ხედავთ განა?  
ბევრს კი თქვენთაგანს ახლა მზადა აქვს  
გამოსასმელად კისერში დანა,  
განა არ კმარა ამდენი ხანი,  
თქვენ ვერაგებო, ამ ქვეყნად დამტყუით?  
თქვენი ზრახვები არის სიბილწე  
და თქვენი გული სავესე ბრაზით!  
ღმერთს რას აწუხებთ, — დღეს ყველა გეტყვის,  
მალე, სულ მალე უნდა გათავდეთ,  
თუ წესიერად გინდათ მოიქცეთ,  
მესაჯლავენი მზად უნდა გყავდეთ!

ყუმბარა



— გებელსი გვარწმუნებდა, რომ გერმანულ ჯარისკაცს ვერაფერი შეაჩერებს, ჩვენი ჯარები თავისი გმირობით ცამდე ამალდებიანო.  
— შო და აკი „ამალდა“ ექვსი მილიონი ჯარისკაცი?

გასანჯვე უბანში

ნან. გ. ლომიძისა



გაბუა — მოგვიყვანეს მე და ჩემი უვილწევილი ფიურერის არმიის შესახებზედა.

„გერმანული“

გერმანულმა პოლკოვნიკმა  
ლრუტუნბერგმა  
მოიწვია რუმინელი  
გენერალი,  
აი, ხედავ, გაიცანი  
ჩემი გეგმა,  
მეგობრობის ვიქონიოთ  
ჩვენ მწვერვალში...  
საუბრეზე უნდა იყოთ  
ჩემთან მუდამ,  
შენთან გვკონდეს ჩვენ სადილი  
და ვახშამი  
და ისეთი მეგობრობა  
გვკონდეს უნდა,  
რომ არ დავრჩეთ ერთმანეთთან  
ჩვენ „პირშავი“.  
რუმინელმა გენერალმა  
უპასუხა:  
„მეტისმეტად პოლკოვნიკო,  
გამახარე.  
მხოლოდ ერთს გთხოვ, საუბრეზე  
ნულარ სწუხარ,  
საუბრესაც მე გავმართავ  
თქვენთვის ბარემ.  
ამის შემდეგ გერმანულს და  
რუმინელსა,  
ერთმანეთთან „მეგობრობა“  
მჭიდრო ჰქონდათ:  
ერთს ქეიფი — მეორეს კი  
ფიქრად ჰქონდა; —  
სანთაგვ ნეტავ სანამ  
ფიქროდა?.

ფარანა ძველმესაური



ნ.ხ. დონისა



იტალიელი გენერალი — ალო! ალო! სანაპირო დაცვის შტაბია? მოემზადეთ ევაკუაციისათვის. გერმანიის შტაბმა თქვენგან დაკავებული მიდამოების მტკიცედ დაცვა აღგვითქვა.

ბერლინის ერთერთი ჟურნალის წარმომადგენელი შეხვდა ერთმანეთს.

— გამარჯობა რუდოლფე! მსალამა მამაგი გაიგე?

— არა! რა მოხდა?

— თურმე ფიურერს სამოთხის დაპყრობა გადაუწყვეტია. რუდოლფმა გაკვირვებით შეხედა, პაპიროსის ბოლი პირიდან ბუმბუტად გამოიშვა და მიიშვა:

— როდის აპირებს, მსოფლიოს დაპყრობის შემდეგ თუ ახლავე?

— ახლავე, მეგობარო, ახლავე.

— ე-ე-ე, მეგობარო, შენ ამ ქვეყნის კურსში არ ყოფილხარ. აკი ფიურერმა გამოაცხადა — ვინც გერმანიისათვის მოკვდება, ის პირდაპირ სამოთხეში მოხვდება.

ე-ე-ე, მეგობარო! ამ სიტყვებზე „ახალი ამბის“ მცოდნემ ლაპარაკი შეწყვეტა, მიიხედ-მოიხედა და რაკი დარწმუნდა, რომ ყურს არავინ უგდებდა, კვლავ განაგრძო ხმადაბლა:

— ამ ბოლო ხანებში რუსეთში და აფრიკაში იმდენი გერმანელი გაწყდა, რომ როგორც სჩანს მთელი სამოთხე უკვე არიელთა საკუთრებათ უნდა იყოს გამოცხადებული.

უხერხული პაუზის შემდეგ რუდოლფმა მწარე ამოიხვნეოთ მიიშვა:

კარგი იქნებოდა, რომ იმ სამოთხეში თვით ფიურერი გაემშურებოდეს დაჩქარებით, დაუყოვნებლივ, მაშინ...


— მაშინ რა?

— მაშინ ჩვენი გერმანია დაპყრავდა ჯოჯოხეთის სახეს.

# პ е р е ц ъ

## უკრაინული სოციალდემოკრატიული რევოლუციის

მხატვ. ვ. ლიტვინენკა



— ჰა, შე არამზადავ, ბოლოსდაბოლოს მაინც დაგიჩოქე.



— ეხლა ჩაიბარე მიწის მულშივი სარგებლობის აქტი.

## მოდერნთ სამსჯავროს

(ნაწყვეტი ლექსიდან)

ვლ. სოსნიშკა

იფართხალეთ, იკლანეთ, საზიხდარო გველებო, მოელოდეთ უკრაინელ ხალხის სასტიკ სამსჯავროს, მშობლებსაც ვერ იზილავთ, წყველით რომ გიგონებენ, ვინ იქნება თქვენს ლეშზე ცხარე ცრემლი დაღვაროს? — როცა გამარჯვებული უკრაინა აღსდგება, ზაბორეფელ სიმღერას ვერ მოისმენთ თქვენ მისას. მაშინ ხალხი ფალასკას მოიშორებს და იტყვის: ბედნიერი ცხოვრება ახლა ისევ გვედირსა. და ეს სიტყვა მართალი აინთება ცეცხლივით, როგორც გარიჟრაჟდება მზე აშუქებს სამყაროს.

„გადლობ ჩვენი სტალინო, დიდო მამა, მშობელო, იდეგარძელე, იცოცხლე, რომ მუდამ დღე გვახარო.“ და „იზილავთ პირისპირ ბეჰადს რუხ ფარაჯაში“. ჩვენი დიდი მარშალი უკვდავ გოლიათების თუთუნს მოსწევს და კვალით ორი ყალიონიდან დაიფარვის ველები და ბორცვების კალთები. იგი იტყვის და სახეს მისას ღიმი დაფარავს: „უკრაინავ, მზიურო, იცოცხლე და იხარე!“ და ეს სიტყვა ჩვენს გულში სიმღერებად იქცევა, მიწას ჩვენსას დავეცნით სიყრმით რომ შევიყვარეთ.

თარგმნა ს. ე-მა

\*) „პერეცია“ არის უკრაინული სატირული ჟურნალი. ვებუდავთ რამდენიმე მახალას წემოაღნიშნულ ორგ. ნოდან. რილ.

# უკონვის იუმორი

განმარტებული

— ჰანს მიულერ! თქვენ საქვეყნოდ უწოდებთ ფიურერს პირსისხლიანი იდიოტი. მე თქვენ სამ ბრალდებას გიყენებთ: პირველი არის—ხელისუფლების საწინააღმდეგო პროპაგანდის გაწევა, მეორე—ხელისუფლების სათავეში მყოფი პირის შეურაცყოფა, მესამე—სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა.

(„შეტევა“)

## ბერლინის საპოლიციო უბანში

— ბატონო პოლიციის ინსპექტორო! ჩვენს სახლში მოხდა დიდი უბედურება: ბავშვები გესტაპოზიანას თამაშობდნენ და ბებიას გამოსკრეს ყელი...

(„შეტევა“)

## წინდახედულება

— ფრაუ გრეტხენ, მე გაუიგონე, რომ თქვენი ქმარი დაიღუპა სტალინგრადთან?

— დიახ: გუშან მივიღე ცნობა. მაგრამ, ფრაუ მადლენ, თქვენ რაღათ ჩავიცვამთ ტრაჟიკი? თქვენი ქმარი სომ ჯერ ცოცხალია?

— ამას მნიშვნელობა არა აქვს, საკმარისია რომ ის რუსეთშია.  
(„წითელი დროშა“)

## ქველახე უფრო ნახვავლი

— ობერ ლეიტენანტო კრუპპე! პოლკოვნიკი თხოულობს ყველაზე უფრო განათლებულ ოფიცერს, ვინ არის თქვენებში ისეთი, რომელსაც ყველაზე მეტად ჰქონია საქმე მეცნიერებასთან?

— მფრინავი ჰანს ვოშკე. მან დაბოძა ორი სკოლა და ერთი უნივერსიტეტი.

(„ურტყი მტერს“)


# ამხანაგო ნიანგო!

## ვის ჩა ანუხებს

საბურთალოში სპეციალისტების სახლის ხევითა უბანი რამდენიმე კვირის განმავლობაში უწყლოდ იყო დატოვებული. ქვედა უბანში კი, მილის გახეთქვის გამო, ნიაღვარი მიდიოდა.

ნიანგორის წვრილიდან

ნახ. ლონისა



— გვიშველეთ!.. წაგვღებო ნიაღვარმა!..

— გვიშველეთ, ვიხრჩობით წყურვილით!..

# პეკ ასიაგოვი

ნახ. დაუფილინა



— უცნაური ხალხია ბელგიელები: მათ ქარხნებში დამზადებული ყუმბარები ფრონტზე იშვიათად ფეთქდება.

— სამაგიეროდ თვით ქარხნები ყოველდღე ფეთქდებიან.

## ნაპოლეონი ჰიგლიანის უნივერსიტეტი

ხორტი

აღმოსავლეთის ფრონტო, ოხ, გამომწარე დღენი, ვინ გადიტანა ნეტავ ტანჯვებში ამოდენი, კუდის რიკამდე გამფტქვენს სურსათითა და ჯარით, ახლა მეც დამიტოვეს ღიათ საფლავის კარი.

## ანტონესკუ

დიდ რუმინეთის შექმნის ფიქრით აღსავსე თავით, საბჭოეთს შეგაკლიტე ჯარები უამრავი, ცეცხლი შემინთეს შიგნით, შიშით არ მძინავს ღამით, და წინ გატეხილ გობსა დავცქერ ცრემლიან თვალით.

დ. ჯავჭავიძე

# დიდობი

ნახ. ლონისა



— ხად არის თქვენი ნაწილი?

— ზოგი რამ ფრონტზე დავკარკე და ზოგიც შოსპიტალში დამატოვებინეს.

43-71



ეროვნული  
განათლების  
კომისიისთვის

# პირდაპირი მნიშვნელობით

ნახ. ს. ნადარეიშვილისა



— მე წითელი ჯარის თვალის სახსვევად უარყვავი ჩვენ მიერ შეტევაზე გადახდის ფაქტი და ჩემი გენერლები კი წართლაც თავდაცვაზე გადავიდნენ და... ველარც ის მოახერხეს.